



Enabling Change and Growth

# საქართველოს IT სექტორის საიმედო მომავალი


ანალიტიკური მიმოხილვა | მომზადებულია GEC-ის მიერ  
ივლისი, 2021

# სრული სურათი

**მნიშვნელოვანი შეტყობინება:** ქვეყნის ეკონომიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის გაზომვის მიზნით, GEC-იმ გააანალიზა ქართული ორგანიზაციების ფინანსური მონაცემები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მონაცემებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული მონაცემები 2020 წლისთვის ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის, GEC-იმ გააანალიზა საქსტატის მიერ მოწოდებული ზედა დონის სექტორთა NACE კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილი ბრუნვის სტატისტიკა, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ თითოეული სექტორის წილის ცვლილებამ მთლიან ეკონომიკაში 2020 წელს საშუალოდ 2% შეადგენდა. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სექტორთა ზრდის ტემპსა და მომგებიანობის მაჩვენებლებზე. ამგვარად, GEC აქვეყნებს ამ ანგარიშს იმ ვარაუდის გათვალისწინებით, რომ შედეგები ზოგად ეკონომიკურ ჭრილში იქნება დასაზუსტებელი და ამავდროულად, აცნობიერებს პოსტ-პანდემიური ანალიზის აუცილებლობას მიმდინარე წლის განმავლობაში.

## სექტორთა რუკა - 2019

ქვემოთ მოცემული დიაგრამა მოიცავს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორთა მონაცემებს 2019 წლისთვის 3 ინდიკატორის მიხედვით: ბაზრის ზრდის ტემპი, მომგებიანობის მაჩვენებლის მედიანა და წილი მთლიან ეკონომიკურ დოვლათში (welfare) (გამოსახულია „ბურთის“ ზომაში).



**პირველად მონაცემთა წყარო:** SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

დიაგრამა დაყოფილია 4 სექტორად<sup>1</sup>:

**სექტორი I** - ზედა მარჯვენა კუთხეში მდებარე ნაწილი მოიცავს იმ სექტორებს, რომლებიც ხასიათდება შედარებით მაღალი ზრდის ტემპითა და მომგებიანობის მარჯით.

<sup>1</sup> 4 კვადრატად დაყოფის მაგივრად, გამოსახულება დაყოფილია ოთხ არათანაბარ სექტორად, რათა სამართლიანად ასახულიყო განცალკევებული (outlier) სამთომოპოვებითი სექტორის ეფექტი, რომლის ატიპური ზრდა გამოწვეული "სს საქართველოს ნავთობი და გაზის კორპორაციის" შემოსავლის ზრდით.

**სექტორი II** - მდებარეობს ზედა მარცხენა კუთხეში და აჩვენებს სექტორებს, რომლებსაც შედარებით დაბალი ზრდის ტემპი, მაგრამ მაღალი მომგებიანობის მარჯა აქვთ.

**სექტორი III** - მდებარეობს ქვედა მარცხენა კუთხეში და მოიცავს შედარებით დაბალი ზრდის ტემპისა და მომგებიანობის მქონე სექტორებს.


**სექტორი IV** - ამ ნაწილში მდებარე სექტორები ხასიათდება შედარებით დაბალი მომგებიანობის მაჩვენებლით, თუმცა მაღალი ზრდის ტემპით (ქვედა მარჯვენა კუთხეში).

როგორც გამოსახულება გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT)<sup>2</sup> სექტორს, ისევე როგორც ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობის, პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურების, ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორებს უმნიშვნელო წილი აქვს ყველა სექტორის ჯამურ შემოსავალში, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სექტორი მიეკუთვნება ერთ-ერთ უსწრაფესად მზარდ და მაღალმომგებიან სექტორებს - 9%-იანი მომგებიანობის მაჩვენებლით და 29%-იანი ზრდის ტემპით.

## ვალდებულებების აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებლის მედიანა

ქვემოთ მოცემული დიაგრამა სექტორების ფინანსური ლევერიჯის კუთხით შეფასების მიზნით, გვიჩვენებს ვალდებულებების აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებლის მედიანას. საშუალო სესხით დაფინანსებული აქტივების წილი ჯამურ აქტივებში ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში შეადგენს 24%-ს. ამ მაჩვენებლით, აღნიშნული სექტორი წარმოადგენს მეხუთე ყველაზე დაბალი ლევერიჯის მქონე სექტორს ქართულ ბაზარზე. ამავდროულად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორი ხასიათდება საშუალოდ 74%-იანი რეინვესტირების კოეფიციენტით (მაჩვენებელი ზომავს ბიზნესში გაუნაწილებელი მოგების სახით მოგების წილის რეინვესტირებას), რაც მიუთითებს, რომ სექტორში მოქმედი კომპანიები ზრდის მიზნით ახალი სესხის აღებას, მოგების რეინვესტირებას ამჯობინებენ.

ვალდებულებების აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებლის მედიანა - 2019




პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

<sup>2</sup> ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორი აერთიანებს კომპიუტერული ტექნოლოგიების, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების და კომპიუტერული საშუალებების მართვის, და ამ მიმართულებით კონსულტაციის საქმიანობებს.

## საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებლის მედიანა

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ქართული ეკონომიკის სექტორების საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებლის (კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოგების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან). ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებლის მედიანა 2019 წლისთვის 25%-ით დაახლოებით შუაშია სხვა სექტორების იგივე მაჩვენებლებს შორის, რაც იმაზე მეტყველებს რომ სექტორს შეუძლია ინვესტირებულ კაპიტალზე საკმაოდ მიმზიდველი უკუგების გენერირება.

საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებლის მედიანა - 2019




პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

## სექტორის მიმოხილვა

ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის ზომამ 2019 წელს 291,230,000 ლარი, 2018 წელს კი 224,952,000 ლარი შეადგინა და ერთ წელიწადში 29%-ით გაიზარდა. სექტორის დეტალურად გამოსაკვლევადა, იგი დაყავით 4 მთავარ საქმიანობის მიმართულებად (იხილეთ დიაგრამა მარჯვნივ). ინდუსტრიათა შორის ყველაზე დიდ წილს - 86%-ს კომპიუტერული დაპროგრამების და კონსულტირების საქმიანობა იკავებს, რომელსაც 8%-ით პროგრამული

ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის ჩაშლა სექტორების მიხედვით - 2019




პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

უზრუნველყოფის გამოცემის საქმიანობის მიმართულება მოსდევს. ვებ-პორტალებისა და მონაცემთა დამუშავებისა და განთავსების საქმიანობის მიმართულებებს კი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზრის 3-3% უჭირავთ. თითოეული ინდუსტრიის დეტალური განხილვა მოცემულია წინამდებარე მიმოხილვის შემდეგ ნაწილებში.

## ინდუსტრიათა მიმოხილვა


ქვემოთ, მარცხენა მხარეს მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ინდუსტრიათა ბაზრის ზომებს 2018 და 2019 წლებში, შესაბამის ზრდის ტემპებთან ერთად, ხოლო მარჯვენა მხარეს მოცემული დიაგრამა ინდუსტრიათა ჩაშლას თითოეული ზომით კატეგორიაში<sup>3</sup> არსებული სუბიექტების რაოდენობების მიხედვით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიათა შემოსავლების ზომა და ზრდის ტემპი



პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიათა ზომა კომპანიების რაოდენობის მიხედვით



პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ

<sup>3</sup> დაწესებულების ზომითი კატეგორია განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კანონის თანახმად, არსებობს 4 ზომითი კატეგორია: I, II, III & IV. დაწესებულების ზომითი კატეგორია განისაზღვრება შემდეგი სამი კრიტერიუმის მიხედვით: აქტივების ჯამური ღირებულება, შემოსავალი და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა. რაც უფრო დიდია კატეგორია, მით უფრო დიდია ფირმის ზომა. დეტალური ინფორმაცია, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ:

[https://www.saras.gov.ge/Content/files/Guideline\\_for\\_the\\_Determination\\_of\\_the\\_Size\\_Category\\_of\\_an\\_Entity\\_2019.02.05.pdf](https://www.saras.gov.ge/Content/files/Guideline_for_the_Determination_of_the_Size_Category_of_an_Entity_2019.02.05.pdf)

**კომპიუტერული პროგრამირებისა და საკონსულტაციო მომსახურება<sup>4</sup>** - არის ერთადერთი საქმიანობის მიმართულება IT სექტორში, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე დიდი ზომის - II კატეგორიის კომპანიებით, ხოლო დანარჩენი კომპანიების უმეტესობა თითქმის თანაბრად ნაწილდება III და IV კატეგორიებს შორის. 2019 წელს აღნიშნული მიმართულების კომპანიების მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი 6-ჯერ აღემატებოდა დანარჩენი 3 საქმიანობის მიმართულების ჯამურ შემოსავლებს და მისმა ზრდამ მთლიანი სექტორის ზრდის 87% შეადგინა. 2019 წელს, 57,984,000 ლარით შემოსავლის აბსოლუტური ზრდა წინა წელთან შედარებით, რაც 30% -იანი ზრდის ტემპის ექვივალენტურია, ძირითადად გამოწვეული იყო ადგილობრივ ბაზარზე IT ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, ელექტროენერჯისა და შენობების მართვის სისტემებზე მოთხოვნის ზრდით.

**პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა<sup>5</sup>** - საქმიანობის მიმართულებაზე მოდის მთლიანი სექტორის ბრუნვის 8% და მისმა ზრდამ 2019 წელს 17% შეადგინა. ეს არის IT სექტორში სიდიდით მეორე საქმიანობის მიმართულება კომპანიების რაოდენობით, რომლებიც კონცენტრირებული არიან III და IV ზომის კატეგორიებში.

**ვებ პორტალები<sup>6</sup>** - არის საქმიანობის მიმართულება, რომელშიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორიდან ყველაზე ნაკლები რაოდენობის კომპანიები ოპერირებენ. ამავდროულად, აღნიშნული საქმიანობის ყველა საწარმო IV კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის მიმართულების შემოსავალი მთლიანი სექტორის მხოლოდ 3%-ს შეადგენს, 2019 წელს იგი ყველაზე დიდი, 39% -იანი, წლიური ზრდის ტემპით გაიზარდა.

<sup>4</sup> აღნიშნული საქმიანობის მიმართულება მოიცავს შემდეგ აქტივობებს: პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, კომპიუტერული სისტემების განვითარება და შექმნა, რომელიც აერთიანებს კომპიუტერულ ტექნიკას, კლიენტთა კომპიუტერული სისტემების ან/და მონაცემთა დამუშავების საშუალებების მართვასა და კომპიუტერულ დაპროგრამებასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიულ თუ ტექნიკურ აქტივობებს

<sup>5</sup> საქმიანობის მიმართულება მოიცავს კომპიუტერული თამაშების, ოპერაციული სისტემებისა და ბიზნეს აპლიკაციების (მათ შორის ERP სისტემების) გამოქვეყნებას.

<sup>6</sup> საქმიანობის მიმართულება მოიცავს იმ ვებ-გვერდთა შემუშავებას, რომლებიც იყენებენ საძიებო სისტემას, ინტერნეტ მისამართებისა და შინაარსის ფართო მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, და სხვა ვებ-გვერდების ფუნქციონირებას, რომლებიც მოქმედებენ როგორც ინტერნეტ პორტალები. მაგალითად, მედია საიტები, რომლებიც პერიოდულად აწარმოებენ შინაარსის (კონტენტის) განახლებას.


**მონაცემთა დამუშავება და ჰოსტინგი<sup>7</sup>** - 2019 წელს 17% -იანი ზრდის მაჩვენებლით, საქმიანობის მიმართულება მთლიანი სექტორის 3%-ს შეადგენდა და ძირითადად წარმოდგენილი იყო IV ზომის კატეგორიის კომპანიებით, III კატეგორიის ერთ კომპანიასთან ერთად.

## შემოსავლების გადანაწილება IT სექტორში 2019 წელს

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში შემოსავლების განაწილება. ჰორიზონტალურ დერძზე მოცემულია სექტორში ოპერირებადი კომპანიების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო ვერტიკალურ დერძზე ამ კომპანიების მიერ გამომუშავებული ჯამური შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი. მაგალითისთვის, როცა X-ის მნიშვნელობა არის 50%, ხოლო Y- მნიშვნელობა 20%, ეს ნიშნავს რომ კომპანიების ქვედა 50% ქმნის მთლიანი შემოსავლის 20%-ს.

დიაგრამა გვიჩვენებს შემოსავლების უკიდურესად არათანაბარ განაწილებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში: კომპანიების ქვედა 90% ქმნის მთლიანი შემოსავლის 23%-ს, ხოლო კომპანიების დანარჩენ 10%-ზე მოდის სექტორის ჯამური შემოსავლის 67%.

### შემოსავლების გადანაწილება IT სექტორში - 2019



*პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ*

<sup>7</sup> საქმიანობის მიმართულება მოიცავს ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას ჰოსტინგისთვის, მონაცემთა დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობებისთვის ვებ-ჰოსტინგს, სთრინინგ სერვისს, აპლიკაციის ჰოსტინგის სერვისის უზრუნველყოფისა და მონაცემთა დამუშავების აქტივობებს.

## IT სექტორის ტოპ 3 კომპანია ბრუნვის მიხედვით

მარჯვნივ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2019 წლის მონაცემებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის ტოპ 3 კომპანია შემოსავლის მიხედვით. ბაზრის წილის თითქმის ნახევარი, მთლიანი სექტორის შემოსავლის 46% უკავია UGT-ს, რომელსაც Orient Logic და Fulcrum მოყვება, შესაბამისი 16% და 7%-ის წილებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ტოპ 3 კომპანია ბრუნვის მიხედვით - 2019



*პირველად მონაცემთა წყარო: SARAS, ანალიზი მომზადებულია GEC-ის მიერ*



# გამოყენებული მეთოდოლოგია

## მონაცემთა წყარო

GEC-ის მიერ მომზადებული ანგარიში ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისაგან (SARAS) მიღებულ ფინანსური და მენეჯერული ანგარიშგების ინფორმაციას, რომელიც კომპანიების მიერ იქნა წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშგების შედეგად. SARAS-სგან მიღებული კომპანიების მიერ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საჯარო მონაცემები შეიცავს თითოეული კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით). კომპანიები, რომლებიც ეწევიან ერთზე მეტ ბიზნეს საქმიანობას, მონაწილეობენ ყველა იმ ინდუსტრიის ანალიზში, რომელ ინდუსტრიებსაც მიეკუთვნება მითითებული საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ეს საქმიანობა წარმოადგენს თუ არა კომპანიის მთავარ ბიზნეს საქმიანობის მიმართულებას.

## მონაცემთა დამუშავება

კომპანიების შესახებ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია მიჩნეულია სარწმუნოდ და კვლევის განხორციელებული სამუშაოები არ მოიცავდა ამ ინფორმაციის ხარისხობრივ გადამოწმებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირველადი ინფორმაციის სიზუსტეს და სარწმუნოებას უზრუნველყოფს SARAS-ის მიერ წარმოებული მისი საქმიანობის პროცესი, მონაცემთა ხარისხის გასაუმჯობესებლად GEC-იმ მიმართა შემდეგ ქმედებებს:

- ❖ მესამე კატეგორიის იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც შეესებოდა აქვთ „გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის“ - შეტანილია კორექტირებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში. კერძოდ: ნეგატიური ნიშნით წარმოდგენილი შემოსავლების მონაცემები, შეცვლილია დადებითი ნიშნით, ხოლო კომპანიების ხარჯების მონაცემები, რომლებიც მოცემული იყო დადებითი ნიშნით, შეცვლილია ნეგატიური ნიშნით.
- ❖ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარდგენილი აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ორი წლისთვის, ხოლო საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება მხოლოდ ერთი წლისთვის, ბაზრის მოცულობისა და ბაზრის წილის მონაცემების გაანგარიშებაში ასეთი კომპანია არ იღებს მონაწილეობას, ჩვენს მონაცემთა ბაზაში შესაბამისი მონაცემების არ არსებობის გამო.
- ❖ საწარმოების მიერ მითითებული მონაცემების რაოდენობის ერთეული (ლარის ნაცვლად ათასი ლარი) დაკორექტირდა ორგანიზაციის კატეგორიის შესაბამისად.

## ცენტრალური ტენდენციის საზომი

ჩვენს მიერ მიღებული პირველადი მონაცემები დიდი რაოდენობით შეიცავს მონაცემების მნიშვნელობების უმეტესობისგან მნიშვნელოვნად მაღალ ან დაბალ მაჩვენებლებს. ამგვარად, მონაცემთა ობიექტურად წარმოდგენის მიზნით, სპეციფიკური კოეფიციენტების ცენტრალური ტენდენციის საზომად არჩეულ იქნა მედიანა, რადგან ეს საზომი გვერდს უვლის უკიდურეს მნიშვნელობებს, ხოლო მონაცემთა საშუალო მაჩვენებელი უკიდურესი მნიშვნელობების ზეგავლენას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ მედიანა არ იძლევა ინფორმაციას მონაცემთა ინდივიდუალური მნიშვნელობების შესახებ, იგი მთლიანი მონაცემების ამომწურავ შეფასებას ახდენს.

# მნიშვნელოვანი შენიშვნა

გამოქვეყნებული ანგარიში წარმოადგენს GEC-ის მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგს, შესაბამისი კომპანიებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ინფორმაციული და ანალიტიკური მიზნებისთვის.

დამუშავებული ინფორმაცია მიჩნეულია სანდოდ ანგარიშის/მიმოხილვის გამოქვეყნების მომენტში, თუმცა არავითარი წარმომადგენლობა ან გარანტია არ არის მოცემული (გამოხატული ან ნაგულისხმევი) მის სიზუსტესთან, სისრულესთან ან სისწორესთან დაკავშირებით. GEC არ იღებს ფინანსურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის ან/და მისი ნაწილის გამოყენებით, ინტერპრეტაციით, დამუშავებით ინფორმაციის მომხმარებელი განიცდის რაიმე სახის (პირდაპირ ან ირიბ) ზარალს, დანაკარგს ან/და ზიანს.

წინამდებარე გამოქვეყნებული ანგარიში/მიმოხილვა, არავითარ შემთხვევაში, არ არის გათვალისწინებული, რომ გამოყენებული იქნას ან განიხილებოდეს, როგორც ფინანსური ან საინვესტიციო რჩევა, რეკომენდაცია, შეთავაზება ან შუამდგომლობა პირისთვის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, ფასიანი ქაღალდების ან ფინანსური აქტივის ნებისმიერი სხვა ფორმის შესაძენად ან გასაყიდად.

შეფასებები ექვემდებარება რისკებს, გაურკვევლობას და სხვა ფაქტორებს, რამაც შესაძლოა განაპირობოს განსხვავება მოცემულ მონაცემებსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის. მოცემული გაანგარიშებები ემყარება SARAS-ისა და სხვა საჯარო წყაროებიდან მოპოვებულ კომპანიების ისტორიულ მონაცემებს, დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ წარსული შედეგები შესაძლოა არ იყოს მომავალი შედეგების პროგნოზისთვის კარგი ინდიკატორი. წინამდებარე ანგარიში/მიმოხილვა შექმნილია მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის, ინფორმაციული და ანალიტიკური მიზნებისთვის. ანგარიშის შინაარსი არ უნდა იქნეს მიღებული, როგორც იურიდიული, ფინანსური, საინვესტიციო ან საგადასახადო რჩევა. თითოეულმა პირმა უნდა მიმართოს თავის იურიდიულ,

ფინანსურ, საინვესტიციო და საგადასახადო მრჩეველს სამართლებრივ, ბიზნეს, საინვესტიციო და საგადასახადო საკითხებთან მიმართებაში გადაწყვეტილების მისაღებად.

ანალიტიკურ მიმოხილვასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

ეკა ქათამაძე | პარტნიორი

[ekatamadze@gec-consulting.com](mailto:ekatamadze@gec-consulting.com)

თინა სიხარულიძე | ანალიტიკოსი

[tsikharulidze@gec-consulting.com](mailto:tsikharulidze@gec-consulting.com)

[info@gec-consulting.com](mailto:info@gec-consulting.com)

+995511135044; +995322307316

[gec-consulting.com](http://gec-consulting.com)